№ 32

კვირა, 23 თებერვალი 1897 წ.

1877 — 1897

№ 32

კვირა, 23 თებერვალი 1897 წ.

# ივერია

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა, დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ც. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალითა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ზრაჟევსკი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრაჟევსკი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი.
დილით 11-დგან 1 საათამდე, საღამოთი 6-დგან 7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, № 29, სახლი პაპოვისა. (5—71—5)

ქართული თეატრი
კვირას 23 თებერვალს
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი ისტორიული დრამა ერეკლე II ს ცხოვრებიდგან თხზულება ავქსენტი ცაგარლისა

I
ლეკის ქალი გულჯავარ
დრ. 3 მოქ.

II
მშვენიერი ელენეს მამიძველნი
ვოდ. 2 მოქ., ავქს. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყისი 8 საათზედ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

ტფილისი, 22 თებერვალი

ღმერთო, გვიხსენ უარესისაგან! ამით, ამ ამონაკვნესით იძულებულნი ვართ დავიწყოთ ჩვენი მეთაური. ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ასეთის სამძიმარის სიტყვებით ლაპარაკს ვბედავთ. ქართველი კაცი არც ისე განებირებულია სვე-ბედისაგან, რომ ბევრი რამ სასიხარულო ესმოდეს ან შინ, ან გარედ და საკვირველი არ იქნება გვისაყვედურონ,—რაღა შენი გულის-გახეთქა გვინდაო, რაღა შენი გახსენება, რომ უბედურნი ვართო! ჩვენ ვგრძნობთ მთელს საბუთიანობას ამისთანა საყვედურისას, მაგრამ რას იზამთ? ჩვენი ჭირი ჩვენ რომ დავმალოთ, თვითონ ჭირი არა ჰმალავს თავის თავსა და დღე ყოველ თავში გვცემს, დღე ყოველ სულსა გვხუთავს, დღე ყოველ გულს გვიწყლულებს. დამალვას ისევ გამჟღავნება სჯობია,—ეგება ღონე ხსნისა ვიძიოთ და ვიპოვოთ.

სვე-ბედი ჩვენი, ესე იგი, ქართველობისა იმისთანა გარემოებით შეიმოსა საერთოდ და ამ უკანასკნელს ხანებში ნამეტნავად, რომ კაცმა აღარ იცის სად იწყება და თავდება თხრა იმ ორმოსი, რომელშიაც ჩასაცვივნელად ერთმანეთს ვერეკებით, როგორც ცხვრის ფარას.? არ არის არც ერთი საზოგადოებრივი საქმე, რომ ვინმე ჩვენგანივე მტრად არ გაუჩნდეს და მიწასთან არ ასწორებდეს მარტო იმ მწიკვლ მოკიდებულ გულის ძგერით, ერთი მეც მაწირვინონო, ესე იგი, მეც ფეხი გამომაყოფინონ, რომ ვთქვა, მეც ნახირ-ნახიროო. ბატონებო, თუ რამ შეგიძლიანთ, აი ბურთი და მოედანი, ჯერ იმოდენა შესძელით რომ გაკურთხონ, მერე ჩაიცვით ანაფორა, აიღეთ საცეცხლური და სწირეთ, თუ რისამე უნარი გაქვთ. ვინ გიშლით, წინ ვინ აგეფარათ? და თუ ღმერთს ეს უნარი თქვენთვის არ მოუცია, სასესხი ხომ არ არის ისესხოთ, მოწყალება ხომ არ არის, გიწყალობონ ის, რაც ღმერთს თქვენთვის არ უღირსებია. განა არ იცით, რომ მინა არ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდოთ. ამისი მთქმელიც-კი აღარა ჰყავს საქართველოს. ამ ხმა-ამოუღებლობით წაქეზებული კაცი, ამისთანა საპამპულო პრეტენზიით გაბერილი და გასიებული, დოინჯ შემოყრილი დადის და აბრიყვებს თვალ-აუხილველს ადამიანსა, რომელთა შორის არა ერთი და ორია იმისთანა, რომ ტაშსაც უკრავს და იძახის: რა უბედურება გვწვევია, თურმე ამ ამასა და ამას არ აწირვინებენო და დავიღუპენით კიდეცაო.

იქნება ეს უკანასკნელნი გულმართლადაც ჰგლოვობდნენ, ვინ იცის? არ-ცოდნა არ ცოდვაო. რა ქმნან, თუ კი ჭკუა არ უჭრით გამოიცნონ, რომ აბრუ კაცისა, მისის სიტყვისა, აზრისა და რჩევისა თვითონ კაცის შინაგან ღირსების საქმეა და არც სესხით, არც ვისიმე მოწყალეობით არ მოიპოვება. იმის მაგიერ, რომ უთხრან, იღვაწე და შენის ღვაწლით ეგ აბრუ მოიპოვეო, მაწირვინეს მთქმელთან ერთად იგინებიან, რომ ამ აბრუს არ აწვდიან მზა მზარეულად, როგორც გოზინაყს ტაბაკზე და თანაც არ ეუბნებიან, ეგრედ ტკბილად დაგვიბერდიო.

რა თქმა უნდა, ამისთანა დაუჯერებელ პრეტენზიით აღსავსე კაცნი სხვისაგან არიან გაბრიყვებულნი, თორემ ძნელად დასაჯერია, კაცმა თითონ გაიახდოს თავისი თავი ესოდენ სასაცილოდ, რომ იმდურებოდეს საქვეყნოდ,—ჭკუა არა მაქვს და რატომ არ მაძლევთო. ეს პრეტენზია საკუთარი თვალ ახვეული ჟინია, თუ სხვისაგან ჩაგონებული, ორივ ღმერთმა შეინახოს ამას კიდევ კაცი როგორმე გაუძლებს. განა ცოტა დადის აღვირ აშვებული უჭკუობა ქვეყანაზე? ეგეც იმათში. გონიერი კაცი გზას აუქცევს და სულელი-კი კალთაში ჩაავლებს ხელსა და ამ სახით მკვდარი მკვდარს აეკიდება სამარემდე წამიღეო. გზაც ის არის.

ხოლო რას იტყვით, რომ ამისთანა ხალხს სხვასაც ბევრს რასმე უჯერებენ. დაიცადეთ, იძახიან თურმე: ერთი ორიოდ დღე და მე გიჩვენებთ ვინა ვარ. დღეს არა ხვალე ქალალდი მომივა და ყველა ჩვენს საქმეს მე გავუბატონდები და მაშინ მიყურეთ, ქვასაც-კი რძესა და თაფლს ვადენო. არიან თურმე ჩვენში იმისთანა მსმენელნი, რომელნიც თაფლის ხსენებაზე ეხლავ ტუჩებს ილოკვენ და აცმაცუნებენ. ბევრს ვისაც

## ფელეტონი

### მსხვერპლი

(ივ. პოტაპენკოსი)

ეს ზამთრის დილით მოხდა. ჯერ კიდევ ბნელოდა, მოწმენდილს ცაზე ვარსკვლავები აქა იქ-და ბჟუტავდნენ. დედამიწა წინა დღით მოსულის თოვლით იყო მთლად დაფარული. ბაზრობა ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ ყოველის მხრიდგან გასასყიდის სანოვაგით დატვირთული ცხენისა და ხარის ურმები მოჰქონდათ გლეხებს; ზოგიერთები სავაჭროს სასყიდლად იყვნენ მოსულნი.

ქალაქის მცხოვრებთ ჯერ ტკბილად ეძინათ. მოედნის მახლობელ ვიწრო ქუჩაში ქვითკირის გალავანთან ერთი ვიღაცა მაღალის ტანის კაცი იდგა ატუზული. კარგად რომ დაჰკვირვებოდით, მაღალს ტანზედ გაარჩევდით პატარა თავს, რომელზედაც მრგვალი ქუდი ჰქონდა ჩამორქმული. ჰალარა შერთული თმა-წვერულვაში აბურძგნოდა. ტანში ცოტა მოხრილიყო და, როგორც ეტყობოდა, სიცივისაგან კანკალებდა. ფეხთ დახეული წაღები ეცვა, ტანზედ—მოკლე შალვარი, მხრებზედ-კი გრძელი განსაცვიფრებელის შეხედულობის დაჭმუჭნულ-დახეული წამოსასხამი ჰქონდა კაჩოსავით ჩამოკიდებული. ეტყობოდა, რაღაცას ელოდებოდა. კაცი იფიქრებდა იმის ლოდინს რაიმე დამოკიდებულება ექმნება ცასთან, რადგანაც იგი მალ-მალ ცას შეჰყურებდა. მაგრამ ის ზეცისაგან არაფერს მოელოდა, გარდა განთიადის ჩამობნელებისა.

ეს ჟამიც დადგა. ცალიერს ქუჩაში რაღაცა ჩრდილმა დაიწყო მოძრაობა. ის ქუჩის ფარნებს უახლოვდებოდა, რომლებიც მაშინათვე ჰქრებოდა—ცოტა ხნის შემდეგ სრულიად დაბნელდა. მაშინ-კი თავისის ადგილიდგან დაიძრა მაღალის ტანის კაცი და წყნარის, ფრთხილის ნაბიჯით საბაზრო მოედნისაკენ გასწია.

ურმების მოტანა შესწყდა. დუქნები ჯერ არ გაეღოთ. მაღალი კაცი შეჩვეულის თვალით მოედანს შორიდგან დაწვრილებით ათვალიერებდა.

ურმები რიგზედ გამწკრივებულიყვნენ. ულლიდგან გამოშვებული ხარცხენები წყნარად და აუჩქარებლივ იცოხნებოდნენ. პატრონები-კი ყავახანებში გასათბობად წასულიყვნენ, მხოლოდ ათასში ერთ ურმიდგან ხვრინვა მოისმოდა. ბაზრის დარაჯი ძილ-მორეულისა და არა ჩვეულებრივის უკმაყოფილო სახით მოედანს გარს უვლიდა, იმას, რასაკვირველია, თვალ-ყური უნდა დაეჭირა, რომ ურმებიდგან არა დაკარგულიყო-რა, მაგრამ, მთელის ღამის უძილობის გამო, ჰხედავდა რასმეს თუ არა, არავინ უწყოდა.

მაღალი კაცი თანდათან ურმებს უახლოვდებოდა. იმისი შორს-მჭვრეტელი თვალები ყოველსავე ჰხედავდა რაც ურმებზედ ხდებოდა. ბაზრობა კვირაში ორჯელ იყო ხოლმე, ისიც ორჯელვე აქ გაჩნდებოდა. საკმარისი იყო ცხენისა და ხარებისთვის შეეხედნა, მაშინვე გაიგებდა, რომელი ურემი ვის ეკუთვნოდა. ეხლა ის იმის არჩევანში იყო, რომელი ურემი უფრო მომეტებულს გამორჩენასა და ნაკლებს საფრთხეს წარმოდგენდა. რასაკვირველია, ამისთანა ურემი ის იქნება, რომელიც იმის მახლობლად და ღამის დარაჯის მოშორებითა სძევს და რომლის პატრონებიც ყავახანაში არიან წასულნი.

აი ამოარჩია ურემიც, ურემზედ სამსე ტომრები ეწყო. ტომრებს ფარდაგი და თივა ეფარა. თავზედ-კი რაღაცა ბოღჩასავით შეხვეული იდვა. მაღალის კაცის განსაკუთრებული ყურადღება ამ ბოღჩამ მიიზიდა, რადგანაც ამაში საჭმელი ეგონა. ერთიკი მიიხედ-მოიხედა გარშემო და რა დარწმუნდა, რომ ახლო-მახლო არც დარაჯი და არც პოლიციელი არ იყო, ორს გადახტომაზედ თვალში ამოღებულ ურემთან გაჩნდა, ბოღჩას ხელი დაავლო და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა ვიწრო ქუჩისკენ.

ბოღჩა წამოსასხამ ქვეშ იღლიაში ამოიფარა. ეხლა ის მხოლოდ იმას დაჰფიქრებოდა მალე ქალაქ გარეთ გასულიყო, სადაც იგი თავისს თავს თავისუფალ მოქალაქეთა ჰგძნობდა. იმისი გზა ყოველთვის უფრო გრძელი იყო, ვიდრე გზა ჩვეულებრივის მგზავრისა. ეს იმისაგან წარმოსდგებოდა, რომ იცოდა რომელ ქუჩაში რომელი პოლიციელი მოხელე იდგებოდა, რომელთაც იგი სცდილობდა მოჰრიგებოდა. თუმცა პოლიციელთა შორის ბევრი ნაცნობმეგობარი ჰყავდა, მაგრამ არავის ენდობოდა.

პოლიციელის შეხვედრას მაინც ვერ ასცდა, რომელმაც სიცილითა ჰკითხა:

— ოჰ, ნაცრის-ფერავ, საით მისდიხარ?!

ნაცრის-ფერამ ამაზე პასუხი არ გასცა და დილის სიბნელეში სადღაც მიიჩქმალა.

იმას ნაცრის-ფერას უძახდნენ, მაგრამ რად ეძახდნენ ასე? იქნება იმისთვის, რომ გაჰაღარავებული წვერულვაში სახეზედ ნაცრის-ფერსა სდებდა, მაგრამ სულ ერთია, ასე ეძახდნენ და იმასაც ამის წინააღმდეგი არა ჰქონდა რა. იმის ხელობაში ამ სახელს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

როდესაც ნაცრის ფერა ქალაქის განაპირში გავიდა, სრულიად დაბნელთა. ფეხი უფრო მოუჩქარა, რადგანაც იცოდა, რომ ეს განთიადის მომაწავებელი ჩამობნელება იყო. დღის სინათლისა-კი ძლიერ ეშინოდა. ცოტა ხნის შემდეგ საითღაც გაჰქრა.

ნაცრის-ფერას სადგომი ძალლის ხვრელს წააგავდა. გააღებდით თუ არა რაღაცა კარების მზგავსს, მაშინათვე ბნელს სადგომში ამოჰყოფდით თავს. პირველადვე შიგ შესულს ადამიანს სარდაფის ნესტის სუნი ეცემოდა.

შესვლისათანავე ნაცრის-ფერამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, წუმწუმა ამოიღო და ნამწვი აანთო. სადგომი პატარა იყო, მიწაში გამოთხრილი მიწისავე იატაკით. შეიძლება ეს წინად სარდაფი ან საწყობი იყო. მიწაზე კუთხეში თივა იყო გაფანტული, რაზედაც ჭილობი ჰქონდა დაფენილი. ეს ჭილობი ლოგინის მაგივრობასა სწევდა. ხვრელის შუაგულას ფიჭვის სკამი იდგა, გვერდით დიდი ქვა იდვა. ნამწვის მბჟუტავი სინათლე აქაურობას, როგორღაც ნაღვლიანად ეფინებოდა და მკრთალად ანათებდა. ეტყობოდა, ამ სადგომში ამის მეტი აღარა იყორა.

ნაცრის-ფერამ სანთელი სკამს ააძრო და ქვაზედ მიაკრა; მერე იღლიიდგან ბოღჩა გამოიღო და სკამზედ დადო.

„აქ თბილი რაღაცააო",—იფიქრა

გონება არ უჭრის ამისთანა აბდაუბდაების და ცრუპენტელაობის განსაკითხად, აუღიათ თავი, ხელები გულზე დაუკრებიათ, აღარაფრისათვის დარდობენ. ელიან ამ მანანას ციდამ და ზარაქალას ეძახიან თავიანთ თავისვე გამბრიყვებელთ, კაციც შენა ხარ, და ქუდიც შენა გხურავსო. ამასაც კაცი როგორც იქნებოდა გაუძლებდა, ნათქვამია: დეე ბაშვებმა ითამაშონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენო, რომ ამ უცნაურს დაჯერებას სხვა ბოლო არა ჰქონდეს.

ნუ თუ არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ამისთანა სასაცილო ქადილს უჯერებენო, იკითხავთ? არიან თურმე, ჩვენდა საუბედუროდ. ეს ერთის მხრით უნდა მიეწეროს ადამიანის გონების ზარმაცობას, რადგანაც ზოგს ჩვენში ტვინის დაძვრა სიკვდილსავით ეზარება, თორემ აქ რა დიდი ხ.ზი და ლარი უნდა ცრუპენტელობას მიუხვდეს ჭკუათა-მყოფელი კაცი. მეორეს მხრით, ან თვით მოქადილე გონება-ცარიელი უნდა იყოს, ვითარცა სახლი, რომელსაც რუსულად შუბლზე აწერია ხოლმე „свободенъ отъ постоя“, ან თავისნი მსმენელნი უნდა ეგულებოდეს იმოდენად გამოყრუებულნი სულელობითა, რომ გაუბედოს ამისთანა ტყუილი ქადილი და შიში და რიდი არ ჰქონდეს ცრუპენტელობას გამიგებენ და შემარცხვენენო. შერცხვენა ჰირსამც წაულია, ჩვენი უბედურობა იმაშია, რომ ქადილს უჯერებენ კიდეც და რა-კი ამისთანა დაქადული იმედები ეგულებათ, ხელს არაფრისათვის აღარა სძრავენ აინუნში აღარა მოსდით-რა. აცა ქაღალდი მოუვა და პირში ქადები ჩაგვიცვივაო, იძახიან.

ყოველივე ეს რომ მარტო ამ ჯურის ხალხმა წამოიყრანტალოს, კაცი კიდევ ასე თუ ისე გვერდს აუქცევდა, შეიწყნარებდა. უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ეგრედ წოდებულნი ინტელიგენტებიც კვერსა სცემენ და გულში-კი მოქადილესაც დასცინიან და მისს დამჯერსაც. ორივეს გასულელება და გაბრიყვება კი ამ ინტელიგენტებისათვის ფრიად საჭიროა: იციან, რომ კვერის ცემა მარტო წყალს აამღვრევს და მღვრიე წყალში სასურველს თევზს ადვილად დავიჭერთო, რადგანაც სხვა პირდაპირი, პატიოსანი გზა ჩვენს ბედის-წერას ჩვენთვის შუბლზე არ დაუწერიაო ან როგორ გაბედვენ პირდაპირ ამისთანა ქადილს კვერი დაუკრან? განა არ იციან, თვითონვე, რომ ამისთანა ტყუილი ქადილი აშკარა ტყუილია და თავს რად შეირცხვენენ? ისინი თხუნელასავით სოროში იმალვენ თავსა და იქიდამ სხვისის ხელით უთხრიან თავისს მოძმეს ორმოსა ტყუილითა ჰორებითა. იგინი სხვას აბრიყვებენ და სხვისით გადიან ფონსა. როცა სულელობა ქადილისა გამომჟღავნდება, ეს ბატონები პირველნი დაიწყებენ ყვირილს: აკი წინადვე გეუბნებოდით, ნუ გჯერათ, ტყუილიაო და რად მოისულელეთ თავიო.

დღეს ბევრი რამა გვაქვს თავში საცემი: აქ ბანკის საქმე, რომელიც ერთმანეთის მტრობამ ისე აწეწა, რომ კაცმა აღარ იცის რა ბედი მოელის, იქ სათავად აზნაურო სკოლაა, რომლის ბედი ასე უგულოდ უპატრონოდ დაგდებულია ყოველგვარ შემთხვევის და განსაცდელის ანაბარად, აქ მარშლების არჩევანები, იქ ხმოსნებისა, ოძისის საქმე, რკინის-გზა კახეთისა, სოფლობის თვით-მართველობა (Земское самоуправленіе) და ბევრი სხვა ჭირი და ბოროტი. ყოველივე ეს შეაყენა რაღაც ქაღალდის მოლოდინმა, რომელიც დაუხვევიათ ხელზე და საზოგადო საქმეებისათვის მზრუნველს გულს უცრუებენ ამისთანა ტყუილის მოლოდინებითა, გზა და კვალს ურევენ. თავისს დროზე საზოგადოება მოიკითხავს ყოველ ამის პასუხს და ვაი თუ გვიან-ღა იყოს. გვეყო, ბატონებო, ამოდენა თავ-საცემი, დროა ჭკუას და გონებას მოვიდეთ.

მოგახსენებთ, ათასი სატკივარი გვაქვს, ულონობამ და უილაჯობამ ლამის თან გადაგვიტანოს და ჩვენ-კი ვნუგეშობთ, აცა ქაღალდი მოუვა და ყველა ჭრილობა გამთელდებაო. ჩვენ ურჩევთ ამ ტყუილის იმედებით გაჭედილს ქართველ კაცს ქარის მოტანილი ქარსვე წაალებინოს და თავისს დღევანდელ საქმეს თვალი და გული ადევნოს, მათვის იფიქროს და იზრუნოს რამ, თორემ ზღაპრები და ბაქიაობა ბევრი გაგვიგონია, მაგრამ ანწლს თავის დღეში ყურძნობა არ უქმნია.

## მთავრობის განკარგულებანი.

ჯილდო ებოძათ: ციმბირსა, კავკასიასა და ამიერ კავკასიას ცხრა წლის განმავლობაში გულ-მოდგინე და უნაკლულო სამსახურისათვის ებოძათ წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი: ჯებრაილის მაზრის უფროსს, ნადვორნი სოვეტნიკს თავად ივანე ანდრონიკაშვილს და ტფილისის პოლიციის მეათე განყოფილების ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს, ტიტულიარნი სოვეტნიკს თავად მიხეილ თუმანიშვილს.

თორმეტის წლის განმავლობაში ერთსა და იმავე თანამდებობაზედ გულ-მოდგინე და უნაკლულო სამსახურისათვის: ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მასწავლებელს ლუარსაბ გედევანიშვილს, ამიერ კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელს ნიკოლოოზ ლომაურს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს იოსებ სანებლიძეს, ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორად ნამყოფს კონსტანტინე ქორქაშვილს, განჯის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეს თანაშემწეს ფარნაოზ კიკნაძეს, კავკასიის ადგილობრივ მსროლელთა მეოთხე დრუჟინის კაპიტანს ვასილ კვანჭახაძეს და მილიციის პრაპორშჩიკს ილარიონ გამყრელიძეს.

დანიშნულ იქმნენ: კოლლეჟსკი რეგისტრატორი ბეგიაშვილი—სიღნაღის სამაზრო მმართველობის მოხელედ. იმავე მმართველობის მდივანი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ქიტიაშვილი—მე-XI ხარისხის შტატს გარეშე მოხელედ.

გადაყვანილ იქმნა: ახალციხის სამაზრო მმართველობის მდივანი, კოლლეჟსკი რეგისტრატორი ბაქრაძე—სიღნაღის სამაზრო მმართველობის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობის გამო: კარაკალისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი, ნადვორნი სოვეტნიკი კასრაძე.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი 5 მარტს გამოემგზავრება პეტერბურგიდგან ტფილისს.

*** ხუთშაბათს, 20 თებერვალს, ტფილისის კლუბში გაიმართა კონცერტი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. როგორც ვთქვით, კონცერტმა მართლაც მშვენივრად ჩაიარა და დიდძალი საზოგადოებაც დაესწრო. არამც თუ არც ერთი ბილეთი არ დარჩენილა გაუყიდველი, ოც თუმნამდე შეგროვდა იმათგან, რომელთაც ფეხზედ დგომით ისურვეს კონცერტის მოსმენა. საერთო შემოსავალი კონცერტისა ას-ოც თუმნამდე იქნება.

კონცერტი ორს განყოფილებად იყო განაწილებული. პირველს განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა ე. დ. ხიმშიაშვილისამ და შატკოვსკიმ, რომელთაც ორს ფორტეპიანოზედ დაუკრეს არენსკის ნაწარმოები, ი. სარაჯიშვილმა, კნეინა კ. ფ. გურამიშვილისამ და ბ-ნმა ველიჩკომ. მეორე განყოფილებაში: ქ-ნმა მ. ვ. ამირეჯიბისამ დაუკრა ლისტის რაფსოდია, კნეინა გურამიშვილისამ იგალობა, ჩვენმა საყვარელმა პოეტმა აკაკიმ წაიკითხა რამდენიმე საუცხოო ლექსი და დასასრულ ერთი რომანსი იგალობა ბ-ნმა კარგარეთელმაც.

ყოველს კონცერტში მონაწილეს საზოგადოება დიდის აღტაცებით ეგებებოდა. ასეთი საუცხოო კონცერტი მართლა იშვიათად გამართულა. ცოტა არ ისიამოვნა საზოგადოებამ აკაკის მშვენიერის ლექსების მოსმენით. კონცერტში მონაწილეთა გამოხმობასა და გამოწვევას დასასრული არა ჰქონდა. იმდენს ხანს არ მოეშვნენ, მაგალითებრ, ბ-ნს აკაკის, ვიდრე ექვსამდე ლექსი არ ათქმევინეს პატივცემულს მგოსანს. საზოგადოება სთხოვდა კონცერტში მონაწილეთ ახალ-ახალის ლექს-გალობის თქმასა და ისინიც სიამოვნებით ასრულებდნენ ამ თხოვნას, მხოლოდ ბ-ნი კარგარეთელი გამოჩნდა ერთად-ერთი, რომელმაც არ შეიწყნარა ასეთი თხოვნა საზოგადოებისა. ერთი რაღაც რომანსი იგალობა და ყური არ ათხოვა საზოგადოების სურვილს. ასეთი უმართებულო საქციელი ახალგაზდა ქართველ არტისტის მხრივ დიდად საოცარია და უბოდიშო, ამასთან სამწუხაროც რომ არ იყოს.

კონცერტის შემდეგ გაიმართა მშვენიერი ლეკური და ამას ევროპიული ცეკვა მოჰყვა. ლეკურმა და ცეკვამ დილის 4 საათამდე გასტანა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა.

*** ფოთის მომრიგებელი-მოსამართლე ბ-ნი მრევლიშვილი ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრად დაუნიშნავთ.

---

ნაცრის-ფერამ, რადგანაც სიცივისაგან გაყინული ხელები გასთბობოდა. ეხლა გაარჩია, რომ იმისი საპალნე მატყლის ხელსახოცში იყო გახვეული. როგორც ამისთანა საქმეში გამოცდილი, ხელად გამოიანგარიშა ამ ხელსახოცს როგორ გაჰყიდდა. ამისთანა მძიმე ხელობაში, როგორიც იმისი იყო, მუქთად უბრალო საგანიც არ უნდა დაკარგულიყო.

ნაცრის-ფერა მოემზადა რა ბოლჩის გასახსნელად საუზმის იმედით, უეცრივ არა ჩვეულებრივმა შემთხვევამ გააოცა. მოეჩვენა, ვითომ ბოლჩა შეინძრა. პირველ წამს ცოტა გაშეშდა. მერე ხელსახოცს მიუახლოვდა, ნაპირები გადაუწია... და ერთბაშად უკან დაიწია.

თავის თვალებს არ უჯერებდა, ხელახლად მიუახლოვდა სკამს ანთებულის ნამწვით ხელში და ბოლჩას დააკვირდა. არა აქ შეცდომა არა იყო-რა. ძონძებიდგან პატარა ბავშის რგვალ-წითელი პირისახე გამოიყურებოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, ეძინა.

ეს როგორ მოხდა? ალბათ ურმით დედა-კაცი ვინმე მოსული, რომელსაც უსუსური ბავში სახლში უპატრონოდ ვერ დაუტოვებია. პატარა ბავშს-კი ჩვრებსა და მატყლის ხელსახოცში თბილად ჩასძინებია ურემზედ. დედა დარაჯის იმედით ჩაის დასალევად წასულა. ან ვის მოუვიდოდა თავში ყმაწვილის მოტაცება, ვისთვის რა საჭირო იყო?..

ბოლჩა შესამჩნევად შეიძრა, ბავშმა თვალები გაახილა, პატარა ტუჩები სატირლად დაეპრანჭა და ერთბაშად ამ ხვრელში ბავშის ჩხავილი გაისმა. ერთს წამს ნაცრის-ფერამ ყური დაუგდო, მაგრამ მალე კარებთან მიირბინა, ურდული მაგრად ჩაუბნია და სრულიად დაქანცულ-გახეტებული მოულოდნელობისა და განცვიფრებისაგან ქვაზედ დაეშვა. ბავშვი-კი თანდათან ტირილს უმატებდა, შეიძლება გზაზედ მოსიარულე ხალხს ეს ტირილის ხმა გაეგოთ. მაშინ რაღა უნდა ექმნა?

ნაცრის-ფერამ ფრთხილად აიყვანა ყმაწვილი ხელში და რწევა-ქანაობა დაუწყო.

— დაიძინე, დაიძინე, პატარავ! ულერსებდა ნაცრის-ფერა და უნდოდა ხმის გამომეტყველებით დაეგურგულებინა იგი.

თავისს სიცოცხლეში ხელში ბავშვი არა სჭერია, მაგრამ იცოდა, რომ ყმაწვილებს რწევით აძინებდნენ. როდესაც ნაცრის-ფერამ დაინახა, რომ ყმაწვილმა ჩემს მკლავებზე ჩაიძინაო, ათასგვარი საოცარი გრძნობა აეშალა. ყველა იმას მხეცადა სთვლიდა, მაგრამ აგერ ბავშვმა რა მშვიდად დაიძინა ამის მკლავზედ.

გონებას თვალწინ წარსული ცხოვრება ცხოვლად წარმოუდგა. არაფერი სანუგეშო სასიხარულო არ იყო-რა ამ ცხოვრებაში. მოაგონდა თავისი ყმაწვილობა, დედა, რომელიც ყოველთვის ნამტირალევის სახით, დალურჯებული დადიოდა, მამა, რომელიც მუდამ მთვრალი იყო, სცემდა დედასაც და შვილსაც. მერე, როდესაც იგი ცხრა წლისა შესრულდა, ერთ მეჩექმეს მიაბარეს ხელობის შესასწავლად. ამ დროიდგან ამას მხოლოდ ის ახსოვს, რომ აქაც ისევე სცემდნენ, როგორც შინ. ახსოვს თავისი მარტოობა და გულ-ჩათხრობილობა, რომელიც მას აქეთ განუშორებელ ამხანაგად გაუხდა. მერე ყველა ნათესავები დაეხოცნენ, მოუკვდა დედაც, ის ერთად-ერთი არსება, რომელსაც შვილი უყვარდა.

ხელობა მაინც ვერ შეისწავლა. როდესაც კაცი ყოველთვის მარტოობასა ჰგრძნობს, როდესაც მას გულშემატკივარი აღარავინა ჰყავს — საქმესაც გულს ვერ დაუდებს, არ შეუყვარდება. სახელოსნოდგან მალე გამოაგდეს. ქუჩის მეტი თავ-შესაფარი აღარა დარჩენოდა-რა. აი აქედგან იწყება ის ცხოვრება, რომელიც სხვაგვარ ცხოვრებაზედ აღარ შეცვლილა. სიმშილმა აიძულა კუჭის გამოსაკვებად რაიმე საშუალება გამოეძებნა. დაფლეთილ-დაგლეჯილი, საშიშარის შეხედულებისა გამხდარ-გაცრეცილი, სამუშაოს ვერსადა ჰპოულობდა, ლუკმა პურის საშოვნელად წვრილმან ქურდობას მიჰყო ხელი, რომელსაც შედეგად საპყრობილე მოსდევდა. რამდენჯერ მოუვიდა თავში პატიოსანის შრომისათვის მოეკიდა ხელი! რამდენჯერ მოახერხა კიდეც საქმის დაყენება, — მაგრამ მალე შეიტყობდნენ ხოლმე, ვინც იყო და საქმეზედ ხელს აღებინებდნენ, უარს ეუბნებოდნენ. ისევე ქუჩა ხდებოდა იმისი სამყოფელ-თავ-შესაფარი.

მუდმივი შიში თავისი ცხოვრებისა, შიში ყოველისფრისა, მუდმივი უკანცქერა და ყოველთვის მარტოობა... ამხანაგები ვერ დაუმეგობრდებოდნენ. ყველანი ერთსა და იმავე ნაჭერს უყურებდნენ, ყველანი მშივრები იყვნენ. ერთი ბეწვა წარმატება-მეტ-ნაკლებობას შეეძლო შუღლი გაეჩინა მათ შორის და დაუძინებელ მტრებად გადაქცეულიყვნენ.

აი ეხლა ორმოც-და-ათის წლისა იყო. თმა გაუჭაღარავდა, პირის-სახე და შუბლი დაუნაოჭდა, მაგრამ ისევ მარტოდ-მარტოა...

სკამს ნაღვლიანად დაუწყო ყურება, უნდოდა ყმაწვილის სახე კარგად დაენახა. სანთელი მკრთალად ანათებდა და ჰბჟუტავდა. იფიქრა, ყმაწვილი არ შეწუხდეს სკამზედ წოლითაო და ამისათვის საწოლი მოუმზადა ძონძებისა. მთელს სიცოცხლეში იმის მახლობლად ცოცხალი არსება არა ყოფილა;—იმას ყველასი ეშინოდა და ყველას უცქეროდა, ეს პატარა არსება კი იმას ახლო არის და არც ეშინიან. ყველას შეეძლო ქუჩაზედ გაეჩერებინა იგი, ან ხვრელში შესულიყო და ეთქვა: ქურდი ხარ! ამ ბავშვს კი უშემწეოდ ტირილისა და საჭმლის მოთხოვნის მეტი არა შეუძლიან-რა.

ბავშვი მალე გამოიღვიძებს და ძუძუს მოითხოვს. მაგრამ ამას არაფერი აქვს. კუთხეში თუნუქის ტოლჩისა და შავის პურის ნაჭრის მეტი არა გააჩნია რა, — მაგრამ ესენი არ გამოდგება. ნაცრის ფერა კარებს მიუახლოვდა, გამოუბნია ურდული და გახსნა. თენდებოდა ეხლა-კი გონს მოვიდა.

რა ჰქნას? ყველაფერი ნათლად წარმოუდგა. რა უყოს ამ მყვირალას. ჯერ თავისი თავიც ვერ გამოეკვებნა, ხშირად რამდენიმე დღე ზედიზედ მშიერს აღამებდა, ყმაწვილს-კი თბილადა და ნებივრად უნდოდა შენახვა; ამისთვის რძე იყო საჭირო. უკანვე წაიღოს, მაგრამ როგორ მოახერხოს? ამ შუადღისას ილლიას ქვეშ შუა ქალაქზე ხომ ვერ გაატარებს. ერთბაშად შუა ქალაქში ყვირილი რომ მორთოს ბავშვმა, ხომ ყველაფერი გამოცხადდა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს: გორში—3—31 მარტამდე, ქალ. ახალქალაქში—17—22 მარტამდე, ახალციხეში—27 მარტიდგან 5 აპრილამდე, თელავში—21—26 აპრილამდე, ზაქათალაში—30 აპრილიდგან 2 მაისამდე, სიღნაღში—5—12 მაისამდე და დაბა შულავერში—12—20 მაისამდე.

⁂ დღეს, 23 თებერვალს, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირ, ქალაქის სამღვდელოების თანადახმარებით, სიონის ტაძარში წირვის შემდეგ პარაკლისს გარდაიხდის და ღმერთს შეევედრება, რომ აგვაცილოს შავი ჭირი, რომელიც ამ ჟამად აღმოსავლეთ ქვეყნებში მძვინვარებს.

გარდა ამისა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას ეპარქიის სამღვდელოებისათვის ბრძანება გაუცია, რომ მოძღვრებმა ყოველგვარი შემთხვევით ისარგებლონ და თავიანთ მრევლს ქადაგებაში განუმარტონ, თუ რამდენად საჭიროა, რომ სახლში კარმიდამოზედ და საზოგადოდ ყველგან სისუფთავე იყოს დაცული, რომ სუფთათ ჩაიცვან ტანზედ და რიგიანი სასმელ-საჭმელი იხმარონ. ერთის სიტყვით, სამღვდელოებამ უნდა ჩააგონოს ხალხს, რომ ყოველგვარი ღონისძიებანი, რომელნიც ექიმების და საზოგადოდ ყოველა ჭკვიან კაცთაგან არის გამოგონილი, შავი-ჭირის ასაცილებლად, ყველგან ხმარებულ იქმნას.

⁂ რკინის გზებზედ სხვა-და-სხვა უბედურ მოვლენათა თავიდგან ასაცილებლად გზათა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს შემდეგი ცვლილებანი შემოიღოს მოსამსახურე დაბალ მოხელეთა სამსახურში. ყველა რკინის გზის მმართველობისათვის უკვე დაურიგებიათ ბრძანება ამ ცვლილებათა შესახებ:

1) 24 საათის განმავლობაში მორიგეობა ტელეგრაფის მოხელისა და მეისრისა ამიერიდგან აღკრძალულია; 2) ტელეგრაფის მოხელე 12 საათის მეტს არ უნდა იყოს მორიგედ; ამის შემდეგ ამდენივე დრო დასასვენებლად უნდა მიეცეს; ხოლო იმ სადგურებში, საცა მოძრაობა ერთობ დიდია, ტელეგრაფის მოხელე მხოლოდ 8 საათს უნდა იყოს მორიგედ. 3) იმ ადგილებში, საცა დიდი მოძრაობაა, მეისრეც და ნიშნის მაჩვენებელიც მხოლოდ 8 საათს უნდა იყვნენ მორიგედ, და ამასთანავე ყოველ მესამე დღეს მთელის დღით თავისუფლება უნდა მიეცეთ; ხოლო იმ ადგილებში, საცა დიდი მოძრაობა არ არის, მორიგედ 12 საათს შეუძლიანთ ყოფნა.

⁂ გაზ. „ტიფ. ლის."-ს სურამიდგან სწერენ, რომ სურამის ბოქაულს ბ-ნს ტერ-აკოფოვს ქურდების მთელის ბრბოსათვის მიუგნია, იმ ბრბოსათვის, რომელიც სურამსა და სხვა ახლო-მახლო სოფლებს თურმე მოსვენებას არ აძლევდა. ბ-ნ ტერ-აკოფოვს ის ოჯახებიც ამოუჩენია, რომელნიც ქურდებს ბინას აძლევდნენ და ჰმალავდნენ. როგორც ქურდები, ისე მათი შემნახველებიც უკვე დაუტუსაღებიათ, და რაც იმათ ნაქურდალი ნივთები ამოუჩენიათ, პატრონებისთვის ჩაუბარებიათ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. ამილახვარს მოუწონებია მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის აზრი იმის შესახებ, რომ ვორონცოვკას სასოფლო სასწავლებელს (ბორჩალოს მაზრაში) 168 დესეტინა სახელმწიფო მამული მუქთად დაეთმოს, რათა ხსენებულ სასწავლებელთან ერთად წველა-დღვების ფერმა გაიმართოს.

ბ-ნს მედვედევს შუამავლობა დაუწყია კიდეც მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე—ამ წინადადების შესახებ.

⁂ ქუთაისი: ამ უკანასკნელს ხანებში აქ ძალიან გახშირდა ყალბი ხუთ შაურიანი და ათშაურიანი. პოლიცია თვალ-ყურს ადევნებდა და ყალბის ფულის მჭრელსაც მიაგნო. ეს ვაჟბატონი ვიღაც პავლე ოჰანესოვი ყოფილა. 17 თებერვალს, ღამით, პოლიციის მოხელენი და ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგნი—სტეფანოვი და კარვასინსკი ბ-ნ ოჰანესოვის სახლს მიადგნენ. ის სახლში ყოფილა იმ დროს მაგრად კარებ ჩაკეტილი. გაუგია-რა პოლიციის მისვლა, ოჰანეზოვი საჩქაროდ ფანჯარასთან მისულა და იქიდგან ქაღალდში გახვეული ყალბი ფულები მეზობლის ეზოში გადაუსვრია. ეს დაუნახავს იქვე ფანჯარასთან მდგომს ბ-ნ კარვასინსკის, ბრალმდებელის ამხანაგს და პოლიციისთვის უთქვამს, ოჰანესოვის ოთახის კარები შეამტვრიეთო. კარების შემტვრევის შემდეგ ოჰანესოვი ცოტა ხანსკი გაჯიუტებულა, მაგრამ მაინც ჩქარა გამოტეხილა. ოჰანესოვის ოთახი გაუჩხრეკიათ და იქ მრავალი ყალბი ვერცხლის ფული ამოუჩენიათ და ამასთანავე ფულის საჭრელი მანქანაც. ყალბის ფულის გავრცელებას ოჰანესოვს თურმე მისგანვე შედგენილი ბრბო ეხმარებოდა, რომელშიაც მცირე წლოვანნიც რეულან. მთელი ბრბო უკვე შეუპყრია პოლიციას. („ახ მიმოხ.")

⁂ გაზ. „ტფ. ლის."-ს ამბავი მოსვლია, რომ მოსკოვში მოვაჭრე ძმათა ჯანგაროვებს თავიანთის სამშობლო ქალაქ შუშისათვის 100,000 მან. შეუწირავთ და, გარდა ამისა, ქალაქის საავადმყოფოსათვის სამსართულიანი ქვითკირის შენობა და საავადმყოფოს მოსაწყობად 10,000 მან. ეს ამბავი შუშის ქალაქის მოურავს ქალაქის საბჭოსათვის უცნობებია, რომელსაც ერთ-ხმივ დაუდგენია—შუშის მკვიდრთა სახელით ბ-ნთ ჯანგაროვებს მადლობა გამოეცხადოსო.

⁂ მღვდელი კ. ანთაძე გვთხოვს გამოვიცხადოთ, რომ დავიწყე თარგმნა ექიმის პ. ფ. მიერ ლოჩენცის თხზულების თანხმად შემუშავებულის წიგნისა: „ცოდვა-სიჭაბუკისა" („Грѣхи молодости"), რათა სხვებმა აღარ გადათარგმნონ ეს წიგნიო.

⁂ კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწედ ინჟენერი ლ. გ. ფედოროვსკი დაუნიშნავთ, ხოლო ბ-ნი შაიკევიჩი, რკინის გზის მოძრაობის უფროსი, გზის უფროსის პირველ მოადგილედ.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ."-ის სიტყვით, კარპ მოდებაძეს სოფელ პერევისაში (შორაპნის მაზრაში) შავის ქვის მადანში გაქვავებული უცნაური ცხოველი უპოვნია. ცხოველს 1 საჟენი სიგძე აქვს თურმე; გვერდის ძვლები სიგრძით $1^1/_2$—2 არშინია, ხოლო სისქით $1^1/_2$—2 გოჯი.

⁂ ახალციხე. ამ დღეებში ბ-ნ გამრეკელმა, ახალციხის მაზრის ექიმმა, ქალაქის სასწავლებელში ლექცია წაიკითხა შავის ჭირის შესახებ. ლექციას დაესწრნენ მოსწავლენი, მასწავლებლები და სხვანიც.

17 თებერვალს, აქ ყასაბმა ჩ. თავის მოკვლა დააპირა და ამ განზრახვით მუცელში რევოლვერი დაირტყა. გასაკვირველი ის არის, რომ იმ დღეს ჩ.-ს ჯვარი უნდა დაეწერა და ყველაფერი სამზადისი უკვე გაწყობილი იყო.

⁂ სუფსა. 21 თებერვალს, როდესაც საქონლის მატარებელი დაიძრა სადგურიდგან, გიორგი ჰანტურია შეახტა ალაყს, მაგრამ ფეხი დაუცდა, ვაგონებს შუა ჩავარდა და მატარებელმა მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ჰანტურია ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ ღარიბ აზნაურშვილის ოჯახის სასარგებლოდ კიდევ მივიღეთ ნიკ. ისარლოვისაგან 3 მან. და ნუშო აღნიაშვილისაგან სოფელ შილდაში შეკრებილი 3 მან. ამ ფულისა გვქონდა 72 მან. 40 კაპ., ამითი შესდგა 78 მან. 40 კაპ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. რუისი.** (გორის მაზრა), 14 თიბათვე. შარშანდელმა ცუდმა ზამთარმა და ხალხის მთელის წლობით ნოტიო ქოხებში ცხოვრებამ წელს გამოიჩინა თავისი მალა. გაჩნდა სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა: საოფლე, მჭვალი, ყვავილი. ზოგი ისე იხოცება ორი დღის ავადმყოფობით, ვერც კი იგებენ რა არის. ეს სენი ორი თვეა მუსრს ავლებს ხალხს. არსად არ არის ამათთვის პატრონი. ისეც მრავალგვარად შევიწროებულს ხალხს სად აქვს თავი ექიმის მოყვანისა და წამლის ყიდვისა. იხოცებიან ესე უწამლოდ უექიმოდ, ვინც კი ღვთის ანაბარად მიგდებული თავის თავად არ მორჩება, სხვა არაფერი საშუალება არ არის. უშეშობისაგან ხალხი ბოსლებში საქონელთან ერთად სცხოვრობს და მთელის ზამთრის განმავლობაში ამ მავნებელი ჰაერით ასაზრდოებს თავისს ფილტვებს. ამას დაუმატეთ რკინის ღუმელები და ნავთის მჭვარტლი, რადგან უშეშო თუნუქი უნთიათ. წელს ყველაფერით ხელი აუსვა ჩვენს სოფელს, ხალხს გარდა საქონლის ჭირს იტყვით, ღორისას თუ შინაურ ფრინველისას, ყველამ აქ დაიბუდა. მგონი ორჯელაც იყო ზეითალი, მაგრამ იმის გავლა-გამოვლით ჩვენ ფოლორცებში ჭირმა თავი არ დაგვანება. მერე ეხლა აგვიტყდა ეს ყველაფერი, როცა წელს პურის მოსავალმა ხელი არ მოგვცა და ღვინო სამ ზედაშეც არ მოვიდა. შავი ჭირიც რომ ზედ დაერთოს ამას, რა დღეში იქნება სოფელი.

ტფილისში რომ ასეთი მზადებაა, სადაც ექიმები მრავალია და ყველაფრით ხელ შეწყობილნი არიან, და მაინც შიშიანთ, სოფლები რაღა დღეში ჩაცვივდებიან. იქნება ბძანოთ, რატომ სანიტარები არა გყავთო, გვყავს, როგორ არა გვყავს, მაგრამ ისინი მარტო იმას აკეთებენ, რომ თავიანთის მოკეთეების სასიამოვნოდ ხეებს უჭრიან მცხოვრებლებს, თუნდაც სულ არავის არას უშლიდეს. ადვილად არ დაუჯდა სოფელს ერთი ამ ნაირი საქციელი ამ სანიტარებისა და ამას წინად კარგა ბლომა ფულიც გადაახდევინა კანონიერად ერთმა გორში მცხოვრებმა აქაურმა მემამულე სომეხმა.

ერთის სიტყვით, რა მხრივაც უნდა გაგვსინჯოთ, სულ-წყალ-წაღებულები გახლავართ. სასოფლო საქმეები ისეა არეულ დარეული მამასახლისებისაგან, ფულის მკრეფავებისაგან და „ჩოკერნიებისაგან", რომ რაც უნდა მოსაქმე, გულის შემატკივარი და მცოდნე კაცი იყოს ამისთანა საქმეებისა, ისიც ვერას გააწყობს, არამც თუ იმისთანა მმართველები, როგორებიც ეხლა არიან. ბანკი გვქონდა და... მაგრამ ჩვენ ბანკზედ ხომ ლაპარაკიც მეტია, ისეთს მდგომარეობაშია. პურის მაღაზია გვქონდა—და ისიც ამ დღეშაა. სკოლაა და არც ის გახლავთ უკეთესს ყოფაში, სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, მასწავლებელი ჩვენთვის უცხო ტომის კაცია, საერთო ინტერესი არა გვაქვს-რა და არაგვარ გულმტკივნეულობას არ იჩენს ჩვენი ბავშვებისათვის. სკოლასთან ერთად გვქონდა პატარა სამკითხველო და ისე თქვენი მტერი იყოს, როგორც ის არის. ცარიელი კატალოგის მეტი აღარა გახლავთ-რა, რაც ახლად არ შემოსწიროს თითო-ოროლა წიგნაკი.

ამინდები აქამდის კარგი იყო, ეხლა ეს ერთი კვირაა მოჰყვა ისევ და მეორედ მოგვიბრუნდა ზამთარი. ჭირნახულისათვის კი კარგიაო, ამბობენ.

გუშინ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა აქ. აქაურმა გლეხკაცმა კარგი ოჯახიშვილმა, შუახნის კაცმა, გვარად მიხა მებაღიშვილმა, თავი ჩამოიხრჩო ჭაპნით ვენახში. მიზეზი ჯერ ნამდვილად არ იციან, ამბობენ, მიზეზი ცოლიაო, რომელზედაც ეჭვი ჰქონია,—მღალატობსო. ჯერ ექიმი და გამომძიებელი არ მოსულან და საწყალი ისევ ისეა ჩამოკიდებული ხეზედ. ეს მეორე მაგალითია აქ ამ სამს წელიწადში თავის ჩამოხრჩობისა. არაფერი სასიამოვნო ამბავია, თუ დაბალ ხალხსაც შეეჩვია ეს მაღალის ხალხის თავის მოკვლის წესი.

X.

## ნაწყვეტი

ვაიმე, ძმაო, ქვეყანა
შეიცვალა და წახდაო,
კაჭკაჭი ბულბულს დასცინის,
მუტრუკი ფაშა გახდაო,
მელას ოცნება-სიზმარი—
სუყველა ცხადად აჰხდაო,
თაგვს კატა დაუჭერია,
ლომი საძაღლე გახდაო!..

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

(შტეტენჰეიმი)

ადამიანს ოღონდ უთხარ რამე და გაათვრთხილე ნურავის ეტყვი, საიდუმლოაო და მითამ ბუკი და ნაღარა დაგიკრავს.

***

გაზეთში ყველაზე უარესი ამბავი ის არის, როცა გპაუწყებენ: „შემდეგი იქნებაო".

***

დედა-კაცს სამხედრო ბეგარას არ აწევინებენ, იმიტომრომ არ შეიძლება მხედრობა მარტო ბრძანებელთაგან იყოს შემდგარი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

შუა გულს აფრიკაში არის კიდევ ბევრი ზანგთა ნათესავი ერი, საცა კიდევ დიასახლისობაა, ესე იგი, გამგეობა და მართველობა ქვეყნისა დედათა ხელშია. ძველის-ძველ დროში დიასახლისობის წყობილება ესე იგი, დედათა უფროსობა სახლში, ოჯახში, საქვეყნო საქმეებში და სხვა ამისთანაებში ყველგან იყო და შეადგენდა საზოგადოებურს წეს წყობილებას მთელის კაცობრიობისას. ხოლო ბოლოს და ბოლოს უფროსობამ დედა-კაცისამ უკან დაიწია და დაუთმო უფროსობა მამა-კაცს, ჩამოვარდა მამასახლისობა.

ხოლო წინანდელს დიასახლისობას ეხლაცა აქვს ადგილი შუაგულ აფრიკაში ზემო კონგოში. აქ ზემო კონგოში არის ერთ გვარი ნათესავი ზანგთა, რომელსაც ცადმეხებს ეძახიან. ამ ცადმეხების ერს და ქვეყანას განაგებენ დედა-კაცნი. ყოველს ოჯახში უფროსობა დედა-კაცს ეკუთვნის, მთელ თემში გამგებელი უფროსი დედაა და მთელს ერში დედოფალი. განვითარებით ცადმეხები ძალიან დაბალ ხარისხზე ჰდგანან. საზოგადოდ კი ცადმეხები გულ-კეთილნი არიან და რადგანაც მეტად მდიდარი ქვეყანა აქვთ, ბედნიერნიც თავისებურად.

ეხლანდელი დედოფალი ცადმეხებისა ახალგაზდა ქალია და მეტის-მეტად მხნე. სახელად ჰქვიან რანგუმალა. ჰკუით ბევრი არაფერია, ხოლო ღონიერია, მარდი და გულადი. გულადობას ქვეშევრდომნი დედოფლისა დიდ პატივსა სცემენ და ფასსა სდებენ. მამა-კაცნი ცადმეხებისა არც მეომარნი არიან, არც გამრჯელნი. უქმად ყოფნა მათი, მათი ზარმაცობა წრეს გასულია. იქ ლუკმა პურისათვის მარტო დედა-კაცნი ირჯებიან და მამა-კაცნი ნეტარებას იმაში ჰხედავენ, თუ მთელს დღეს სხედან და თვლემაში ატარებენ. ამისთანა გარემოებაში თაოსნობა ყველაფერში დედა-კაცს ჩაუვარდა ხელში და ცოლ-ქმრობაშიაც-კი პირველობა დედა-კაცისაა. იქ გასათხოვარი ქალი თვითონ ირჩევს საქმროს, ქმარსა თხოულობს და არა თვით თხოვდება. იქ ერთქმრობა არ არის, შესაძლოა რამდენისამე ქმრის ყოლა. ეს ქალის სურვილსა და ქონებაზეა დამოკიდებული.

თვითონ დედოფალი რანგუმალა გასათხოვარი ქალი იყო ამ ახლო ხანამდე. დიდს არჩევანში შედიოდა თურმე. იმას გამოუცხადებია, რომ ვინც მე მაჯობებს ჭიდილში და ჩემზედ მეტად მხნე იქნება, მარტო იმას შევირთავო. აბა იქაური ღონე მიხდილი და მოდუნებული მამა-კაცი სად შესძლებდა მხნე დ ღონიერ დედოფლის მორევნას. ამიტომ უკანასკნელ დრომდე უარს იყო ქმრის შერთვაზე, რადგანაც იწუნებდა ქმრად თავ-გამოუჩენელ კაცის შერთვას. ბევრჯელ მოსულან მისს კარზედ ყმაწვილ-კაცნი და თავისი ღონე და ხერხი უცდიათ, მაგრამ დედოფლისაგან დამარცხებულნი და შერცხვენილნი წასულან. ვერავის ვერ ეჯობნა დედოფლისათვის.

ერთხელ დედოფლის ქვეყანაში მისულა არაბთა ქარვანი. ამ ქარვანს მოჰყოლია ერთი ევროპიელი. ეს ვაჟ-ბატონი ზღვის-ჯარის კაცია თურმე ინგლისისა და სახელად ჰქვიან ბენ. პატსონი. ტანად თუმცა პატარაა, მაგრამ საშინელი ღონიერია და ამ ღონის ბრალია, რომ ჯარიდამ გამოიქცა, რადგანაც ამხანაგთან ჩხუბი მოსვლია და ერთი ასეთი მუშტი უთავაზებია, რომ თავი გაუჭეჭყია. შეშინებია ჩამომახრჩობენო და ხომალდიდამ გამოპარულა, შეხვედრია ქარვანს და სავაჭროდ გაჰყოლია შუა-გულ აფრიკაში. ალებმიცემობა დაუწყია ზანგთა შორის, რომელთა სხვა-და-სხვა ენა სავსებით უსწავლია.

გაუგონია ცადმეხების დედოფლის ამბავი და მისი აღთქმა. ძალიან გაუოცებია და წასულა ერთი ვნახო ეს ახირებული დედოფალიო. რამდენიმე არაბი წაუყვანია და წარდგენია დედოფალს. დედოფალს შეუხედნია ამ პატარა ტანის კაცისთვის და და დაცინვით უბძანებია: ხომ არა გნებავს ღონე სინჯოო, მე ჩემს სიტყვას უკან არ წავიღებ, აღთქმა დამიდვია, ვინც მომერევა ქმრად იმას ავიყვანო. პატსონმა უპასუხა:

მე, სწორედ მოგახსენოთ, ცოლის შერთვა, ფიქრადაც არა მაქვს. მე ისე ძვირად მიღირს ჩემი თავისუფლება უცოლოდ ყოფნისა, რომ ადვილად ვერ დავთმობო და თუ ჭიდილი გნებავთ, ჭიდილზედ-კი უარს არ ვიტყვი, მიამება ხოლმე, როცა ადამიანს ლავაშსავით გავაკრავ დედა-მიწაზეო. მე მიკვირსო, უთქვამს ბოლოს პატსონსა, აქაურ ქალების გაბედულობა და მეტი არ იქნება ინგლისის ჯარის-კაცმა იმათ პატარა ჭკუა ასწავლოს და ბაქიაობა დაუნელოსო.

სთქვა ეს თუ არა, დაიფურთხა ხელებზე, დაიმკლავა და მოჭიდავესავით შახტა და შეტრიალდა დედოფლის წინაშე. იქ მყოფთა წასკდათ ერთი უშველებელი სიცილი და ხარხარი, რომ ამ ყოფით ჰნახეს ეს პატარა კაცი. გაეცინა თვით დედოფალსაც და თუმცა იუკადრისა ამისთანა კაცთან ჭიდილი, მაგრამ სტუმარს არ აწყენინა. დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ წაავლებს ხელს თუ არა, ჯოხსავით მოიქნევს და გადააგდებს. ებრალებოდა კიდეც საწყალი თეთრი კაცი. გაიმართა ჭიდილი, იქ მყოფთა წრე შემოავლეს და შუაში მოჭიდავენი მოექცნენ.

დედოფალი მართლა ღონიერი და მარდი გამოდგა, მაგრამ პატარა კაცს ადგილიდამ ფეხიც ვერ მოაცვლევინა, თუმცა ბევრს ეცადა. ჯერ დაცინვის ღიმილი სახედამ არა შორდებოდა და ბოლოს-კი ჯავრიც მოუვიდა,—როგორ გამიძლო ამ ქონდრის კაცმაო. გაჯავრებულმა ხან სარმა გამოჰკრა, ხან რა ფანდი იხმარა, ხან რა, და რომ ამაებით ვერაფერს გახდა, ჩკმეტა დაუწყო, წინააღმდეგ ჭიდაობის წესისა. მაშ თუ ეგრეაო, სთქვა პატსონმა, წამოიკიდა ეს ზანგთა დიდებულება და პირქვე დასცა. მხლებელებმა ძალიან იწყინეს ეს ამბავი, დაიწყეს მუქარა და იარაღის ჩხარა-ჩხურმაც თავი იჩინა. ხოლო დედოფალი რანგუმალა წამოდგა, დააწყნარა მხლებელნი, მივიდა ბენ პატსონთან და უთხრა: მე მინდა ქრმად შეგირთოო. ამ სიტყვების შემდეგ დაეცა მუხლის კვერებზედ, დაუწყო მტვრიან წაღების კოცნა. შეებრალა პატსონს დედოფალი და გაბედა თავისის თავისუფლების გაწირვა. დაითხოვა თვისთან მიყოლილი არაბები და შეირთო დედოფალი.

ეხლა იგი მხიარულად თურმე სცხოვრებს. რა უნდა მისს სულსა და გულს, რომ მისმა ქვეშევრდომებმა არ აუსრულონ. უმაღლესი ბძანებლობა მაინც რანგუმალას ხელშია, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ცოლი ქრმის მონაა, რადგანაც დედოფალს დიდის სიყვარულით თურმე უყვარს ქმარი. თვით ცადმეხებსაც ისე შეაყვარა თურმე თავი, რომ სულ პატსონის სახელს ჰლოცულობენ.

(პ. ი ლ. № 15)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

**კონსტანტინეპოლი.** პირველი ესკადრა სრულიად შეიარაღებულია და ებრძანა მზად იყოს საომრად. ჰფიქრობენ-კი, რომ ბაირამამდე ესკადრა ზღვაში ვერ გავაო.

**ლონდონი.** კონსტანტინეპოლიდგან იწერებიან: „დიდ სახელმწიფოთა მიერ ოსმალეთთან გაგზავნილ ნოტაში სხვათა შორის მოხსენებულია: ოსმალეთმა თავისი ჯარი კრიტის კუნძულიდგან უნდა გაიყვანოს, ხოლო ამ საქმის შესახებ დიდნი სახელმწიფონი უნდა მოელაპარაკნენ ოსმალეთს. ამ ჟამად მოლაპარაკებაა იმის შესახებ, ვინ დანიშნონ კრიტის გუბერნატორად. ოსმალეთი დაჟინებით ამბობს: გუბერნატორად ჩვენი ქვეშევრდომი უნდა იყოსო.

**ქანეა.** ადმირალები შიშობენ, საერთაშორისო დაცვა სელინოსა და გიერაპეტრისა მაჰმადიანთა შორის განრისხებას გამოიწვევს ქრისტიანების წინააღმდეგაო.

**სოფია.** 19 თებერვალს, სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობის სახსოვრად, ბოლგარელებმა იდღესასწაულეს თავიანთ განთავისუფლების დღე. გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი. მეფე ალექსანდრე და მთავარი ერთად მოვიდნენ, მთავრინა —ცალკე ეტლით. მოედანზედ, ტაძრის წინ, ჯარი იდგა, რომელსაც მეფე მიესალმა. ტაძარში მეფე მთავრინას მარჯვნივ იდგა. პარაკლისს დაესწრნენ სერბიისა და ბოლგარიის ამალა, მინისტრები სიმიჩი და ვუიჩი, ბოლგარიის მინისტრები, სადიპლომატო კორპუსი, სამხედრო და სამოქალაქო მმართველნი, კრების წევრნი და მიწვეულნი პარაკლისზედ. არქიმანდრიტმა გიორგიმ გარდაიხადა პარაკლისი მრავალჟამიერით და მოიხსენია კეთილ-მორწმუნე ხელმწიფე იმპერატორი, მეფე ალექსანდრე, კეთილ-მსახურნი მთავარი და მთავრინა და კეთილ-მორწმუნე მთავარი ბორისი. მეფე, მთავარი და მთავრინა ჯვარს ემთხვივნენ და გავიდნენ ჯარებთან. მეფის ბრძანებით ჯარმა იმის წინაშე ორჯერ გაიარა. მთავარმა მეფის სახელით ჯარს მადლობა გადუხადა. შემდეგ მეფე, მთავარი და მთავრინა სასახლისაკენ გაემართნენ. ხალხი იძახდა: „ურა“ და „ჟივიო“. მეფემ კარგად გაწვრთნილი ჯარი მოიწონა და სამხედრო მინისტრს მადლობა გადაუხადა. სერბიის მეფის პატივსაცემლად სასახლეში გამართულ ბალზედ მრავალნი იყვნენ მიწვეულნი. ბალი მეტად მხიარული იყო. მეფესაც დიდი მხიარულება ეტყობოდა; მისმა თავაზიანმა ქცევამ ყველა დამსწრენი მოხიბლა. მეფის სურვილისამებრ, მას გააცნეს რამდენიმე ქალი; მეფე ემუსაიფა მათ და მათთან ერთად ცეკვაშიაც მონაწილეობა მიიღო. კოტილიონს ვახშამი მოჰყვა, რომლის შემდეგ მეფე, მთავარი და მთავრინა თავიანთ ოთახებში წაბძანდნენ. წინა დღეს მთავარმა და მთავრინამ ცხენებით ისეირნეს და ქალაქი დაათვალიერეს. 19 თებერვალს, 4 საათზედ, მეფემ და მთავარმა დაათვალიერეს სამხედრო სასწავლებელი. იუნკრები უიარაღოთ იყვნენ გამომწკრიებულნი სასწავლებლის წინ. მეფე მიესალმა იუნკრებს, დაათვალიერა შენობა ᲓᲐ მეტად კმაყოფილმა დაითხოვა იუნკრები. მეფეს ყველგან დიდის სიამოვნებით და აღტაცებით ეგებებიან. ქალაქი გაჩირაღდნებულია.

21 თებერვალი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება დამტკიცება შემდეგ ღონისძიებათა შავის ჭირის წინააღმდეგ, რომ ეს სენი არ გადმოვიდეს შავისა და კასპიის ზღვების სადგურებში: განზრახულია დაარსდეს კარანტინები თეოდოსიასა, კერჩსა, ბაქოსა და ასტრახანში და 1 ხარისხის საკარანტინო სააგენტოები ოდესასა, სევასტოპოლსა, ნოვოროსიისკსა, ბათუმსა და ფოთში. ხოლო იმ სადგურებში, სადაც კარანტინები არ არის, გაიმართება სამკურნალო-საზედამხედველო სადგურები; ჭირის მხრივ საეჭვო ადგილებზედ გამოვლილი გემები უნდა მივიდნენ იმ სადგურებში, სადაც კარანტინი არის და 10 დღის განმავლობაში უნდა გაისინჯონ, გემით მოსული მგზავრები 10 დღესვე უნდა დარჩნენ გემზედ, როდესაც-კი ეს შესაძლებელი იქნება.

უმაღლესად ნაბძანებია: საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს ნება მიეცეს 4%-იან მოწმობათა გამოცემისა, სულ 15 მილიონი მანათისა იმ პირობებით, როგორც პირველი 4%-ანი გამოცემაა.

20 თებერვალს მოვიდა სპარსეთიდგან საგანგებოდ გამოგზავნილი ელჩი.

**სოფია.** 20 თებერვალს სასახლეში გაიმართა ბალი სერბიის მეფის პატივ საცემლად. სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს სამი კომედია. მეფე მეტად კმაყოფილი დარჩა და ბევრს დამსწრეთაგანს ემუსაიფა. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

**ვილჰელმსჰაფენი.** აქ მობრძანდნენ იმპერატორი და პრინცი ჰენრიხი.

**ქანეა.** საბერძნეთის გემე'ს ნება მიეცათ პირეიში წაიყვანონ საბერძნეთის დაჭრილნი ჯარის კაცნი.

**ბომბეი.** რაც ჭირი გაჩნდა, ამ სენით ავად გამხდარა 8,383 კაცი, გარდაცვლილა 6,979.

**ტულონი.** სამს ჯავშნიანს და ერთს სამხედრო გემს გამოუცხადეს, მზად იყავით პირველ ბრძანებისამებრ კანეაში წასასვლელადაო.

21 თებერვალი.

**პარიზი.** ადმირალი პოტიე დეპეშით იუწყება: „ადმირალებმა ყველამ თავიანთ მთავრობას გაუგზავნეს ერთისა და იმავე შინაარსის დეპეშები, რომლებითაც თავს იმართლებენ, სრულიად უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ ჩვენ ოსმალეთს მივემხრეთ; ჩვენ მხოლოდ ყოველგვარ ღონისძიებას ვხმარობდით, რომ სისხლის ღვრა აგვეცდინაო.

**ბერლინი.** „National Zeitung“-ი სწერს: „ვიდრე ათინის კაბინეტს დიდ სახელმწიფოთა მიერ საერთოდ შედგენილი ნოტა ჩაჰბარდებოდა, ხმები გავრცელდა, ჯერ-ჯერობით ნურას მოვიხსენიებთ ძალდატანების შესახებაო. ამის გამო გაზეთი „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ „ეს მოხდა ინგლისის სურვილით, რომლის წინააღმდეგი მარტო ერთი გერმანია იყოო“ და აქვე დასძენს, ამგვარი პოლიტიკა გერმანიისა სამძიმო არისო. გერმანიას რომ მუქარის გამოცხადება ჰსურდა—ძალ-მომრეობას მიემართავთო,—ეს აშკარაა და ამის დამალვა საჭიროც არ არის. გერმანიამ იმ თავითვე გამოაცხადა, დიდ სახელმწიფოთა საერთო მოქმედებაში მხოლოდ იმ პირობით მივიღებ მონაწილეობას, თუ ეს ჩვენი სურვილიც მოქცეულ იქმნება ნოტაშიო. ეს სურვილი შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც გერმანია ადგია იმ დღიდგან, რაც კრიტის საქმე გამწვავდა. ეს მუქარა რომ არ ყოფილიყო, მაშინ მიწერილობა საბერძნეთისადმი ულტიმატუმი აღარ იქმნებოდა და მხოლოდ ახალს სადიპლომატო მოლაპარაკებას გამოიწვევდა საბერძნეთთან. ამ შემთხვევაში-კი შესაძლებელი იქმნებოდა, რომ კრიტის საქმე საბერძნეთისათვის სასურველად გარდაწყვეტილიყო. ამას-კი გერმანია ხელს ვერ შეუწყობდა. ჯერ ხომ გამორკვეული და გამოაშკარავებული არ არის ყველა დაწვრილებითი ცნობა იმ დიდის შრომისა, რომელიც მოხმარდა დიდ სახელმწიფოთა შორის ერთობის დამყარებას; და როდესაც ყოველივე ეს გამოაშკარავდება, მაშინ აღმოჩნდება, რომ სამდურავი ახირებულობისა ბერლინს არ ეთქმის.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის ეპისტოლეში მოხსენებულია: უპირველეს ყოვლისა უნდა შესდგეს სარევიზიო კომისია განსახილველად კანონებისა შესახებ ფულის მოჭრისა, ბანკებისა და ფულის ტრიალისა. ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ყოველ-გვარი ღონისძიება იქმნება ხმარებული საერთაშორისო ბიმეტალიზმის დასამყარებლად, რომ ოქროსი და ვერცხლის ფულის ფასი გათანასწორდეს. გარდა ამისა ეპისტოლეში მოხსენებულია რჩევა ფულის დაზოგვისა და დეფიციტის მოსპობის შესახებ, ხოლო სესხის შემწეობით-კი არა, არამედ შემოტანილ საქონელზე ბაჟის მომატებით; ამით ოქროს ფულის ხმარებასაც მფარველობა გაეწევა. გარეშე პოლიტიკა მოწადინებულია მშვიდობიანობასა და მეგობრობას ყველა ერთან. ეპისტოლე სთხოვს სენატს, დამტკიცებულ იქმნას ხელ-შეკრულობა ინგლისთან მედიატორთა სამართალზედ და გარდა ამისა გაუმჯობესდეს კანონი გადმოსახლებულთა და ამათ მიერ ადგილობრივ უფლებათა მოპოვების შესახებ.

22 თებერვალი

**პეტერბურგი.** 22 თებერვალს ცეცხლი გაჩნდა ოპოჩინინის ქუჩაზედ, სახლში № 27. ექვსი კაცი დაიწვა.

**ლონდონი.** კანეიდგან სწერენ გაზეთ „Times“-ს, სიტიიდგან ამბავი მოვიდა, რომ მახლობელ სოფლებში მრავალი მაჰმადიანი მოკლესო.

„Standad“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: მინისტრთა საბჭომ დაადგინა, დიდ სახელმწიფოთა მიერ გამოგზავნილ ნოტაზედ გარდაწყვეტილს პასუხს ნუ გვსცემთო. როგორც ამბობენ, ოსმალეთი თანხმდება კრიტის თვითმმართველობაზედ, მაგრამ დაწვრილებით პირობის განხილვაზედ უარს ამბობს, ვიდრე საბერძნეთის ჯარები კუნძულიდგან არ წავლენო.

**კონსტანტინეპოლი.** პერაში დააპატიმრეს სამი კადეტი საზღვაოსნო სასწავლებლისა, რომელთაც ოსმალეთის ახალგაზდა დასის მიერ დაბეჭდილი ფურცლები უპოვნეს.

სალონიკის რკინის გზით ჯარის გადაყვანა გვიანდება გზის უვარგისობისა გამო.

**რომი.** რუდინის სამინისტროს საარჩევნო პროგრამა არჩევს აფრიკის საქმეს. პროგრამა უარ ჰყოფს აბისინიის შემოერთებას და კრიტრეაზე ხელის აღებას და ამტკიცებს, საჭიროა დავინარჩუნოთ მხოლოდ მცირე ადგილი, რომლის დაცვა არ გაგვიძნელდებაო. „იტალიის ხალხი უნდა დადგეს და ტერიტორიის გადიდებას, ან გაძლიერებას, აირჩიოს ან პოლიტიკა ომიანობისა ან ეკონომიურ წარმატებისა“. რაც შეეხება გარეშე საქმეთა პოლიტიკას, მთავრობის დეკლარაცია ამბობს: „ფოთი და სისხლის ღვრა აღმოსავლეთში ვალდა სდევს იტალიას იმ დრომდე შეინახოს თავისი ძალა, ვიდრე გარდაწყდება ის საქმე, რომლისკენაც ეხლა მთელის ევროპის ყურადღებაა მიქცეული და რომელზედაც შესაძლებელია დამყარებული იყოს ჩვენის ქვეყნის სიდიადე და ბედ-იღბალი. მთავრობა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა ერთობას შეუძლიან აიტანოს ომი, რომელსაც მრავალგვარი შედეგი მოჰყვება. მთავრობა სცდილობდა თავიდგან აეცდინა ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც-კი მშვიდობიანობას განსაცდელს უქადდა. იგი მოწადინებულია, რომ არავითარმა სახელის მოყვარეობამ ან მოუთმენლობამ არ შეაბორძიკოს მშვიდობიანობა. რომელსაც ასეთის გულმოდგინებით იცავენ დიდნი სახელმწიფონი და რომელიც ასე ძლიერა ჰსურს ყველა ერს.

**ბელგრადი.** მეფე სოფიიდგან დაბრუნდა.

**სოფია.** მინისტრებმა სტოილოვმა და სიმიჩმა ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ შეადგინეს პროგრამმა თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბოლგარიისა და სერბიის სახელმწიფონი, რომ ბალკანეთში ამ განსაცდელის დროს მშვიდობიანობა არ დაირღვეს.

პეტერბურგის ბირჟა 21 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| რუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | 7.00 |
| 6%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 210½ | — „ | — |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101⅜ | — „ | — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 279 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 259¼ |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი წიგნი

**ბახტრიონი**

ისტორიული პოემა

ვაჟა-ფშაველასი.

(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით).

შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)

**ფასი ერთი აბაზი,**

უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе.

(5—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22 го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.